**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

22 ივლისი, 2025 წ.

# აკადემიური საბჭოს
# დადგენილება №06-01/71

**2025-2026 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერებისა მინისტრის 2011 წლის 04 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების **აკრედიტაციის დებულების** (მათ შორის N6 დანართი - **სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის** (დამტკიცებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №141/ნ ბრძანებით; ვებგვერდზე გამოქვეყნებული - 30.08.2024წ.), **„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, **„ბსუ-ს 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №06-01/70 დადგენილების,** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის (MES 6 25 0000893914, 21.07.2025), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის (MES 9 25 0000674460, 16.06.2025), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (MES 8 25 0000621953, 04.06.2025) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დაადგინა:

1. 2025-2026 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს წინამდებარე დადგენილების **N1 დანართ**ის შესაბამისად.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილების N1 დანართში მითითებული სადოქტორო პროგრამების განმახორციელებელმა **ფაკულტეტებმა უზრუნველყონ** ბსუ-ს ვებგვერდზე (შესაბამისი ფაკულტეტის ველში) დოქტორანტურაში ჩარიცხვით დაინტერესებული პირებისათვის ამ დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსება (სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელების (თანახელმძღვანელების) საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. წინამდებარე დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არაშიძე**

„2025-2026 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის № 06-01/71 დადგენილების

**დანართი 1.**

**2025-2026 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი, კვლევითი პროექტების დასახელება და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელები (თანახელმძღვანელები)**

| № | ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (პროგრამის აკრედიტაციის ვადა) | მისაღები კონტინგენტი (ადგილების რაოდენობა) | სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის დასახელება | სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის დამტკიცების თარიღი: 1. შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე; 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. | სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი და სამეცნიერო თანახელმძღვანელი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | **ბიოლოგია** (აკრედიტაციის ვადა - 31.12.2027 | **2** | 1. „ინვაზიური თეთრი ბუზების (ოჯახი Aleyrodidae) ბიომრავალფეროვნება, ბიოლოგიური თავისებურებები და გავრცელება საქართველო-თურქეთის ტრანსსასაზღვრო ზოლის ეკოსისტემაში“. | ბსუ-ს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის** ფაკულტეტის: 1. ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი № 27-21/05 20.05.2025); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი 27–20/05 25.05.2025) | **სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის <u>ბიოლოგიის დარგობრივი</u> დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი <u>გუგული დუმბაძე;</u> **სავარაუდო სამეცნიერო თანახელმძღვანელი:** თურქეთის ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტის პროფესორი <u>თემელ გოქთურქი</u> |
| | | | 2. „სამხრეთ კოლხეთის (აჭარა) დაცული ტერიტორიების და ბოტანიკური ბაღის ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნება და ბიოეკოლოგიური თავისებურებები“. | ბსუ-ს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის** ფაკულტეტის: 1. ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი № 27-21/05 20.05.2025); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი 27–20/05 25.05.2025) | **სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის <u>ბიოლოგიის დარგობრივი</u> დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი <u>ნანი გვარიშვილი;</u> **სავარაუდო სამეცნიერო თანახელმძღვანელი:** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის <u>ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის</u> ასოცირებული პროფესორი <u>ნინო კიკნაძე;</u> |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2. | **ბიზნესის ადმინისტრირება**<br>(აკრედიტაციის ვადა - 04.02.2032წ.) | **3** | 1. „მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიებსა და ოპერაციებში“. | ბსუ-ს **ეკონომიკისა და ბიზნესის** ფაკულტეტის<br>1. ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №21-21/05, 23.04.2025წ);<br>2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №21-20/04, 20.05.2025წ). | **სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:**<br>ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის <u>დარგობრივი დეპარტამენტის</u> ასოცირებული პროფესორი <u>ლეილა ცეცხლაძე</u> |
| | | | 2. „საქართველოში ინტელექტუალური რესურსების განვითარების შესაძლებლობები და მისი როლი კომპანიის კონკურენტუნარიანობის მოპოვებაში“. | ბსუ-ს **ეკონომიკისა და ბიზნესის** ფაკულტეტის<br>1. ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №21-21/05, 23.04.2025წ);<br>2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №21-20/04, 20.05.2025წ). | **სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:**<br>ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის <u>დარგობრივი დეპარტამენტის</u> ასოცირებული პროფესორი <u>ირმა ჩხაიძე</u> |
| | | | 3. „კომპანიის რისკ-მენეჯმენტის სტრატეგიების ინტეგრაცია და იმპლემენტაცია კორპორატიულ მართვაში“. | ბსუ-ს **ეკონომიკისა და ბიზნესის** ფაკულტეტის<br>1. ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №21-21/05, 23.04.2025წ);<br>2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №21-20/04, 20.05.2025წ). | **სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:**<br>ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის <u>დარგობრივი დეპარტამენტის</u> პროფესორი რეზო მანველიძე |
| | | | 1. „ხატოვანი სიტყვა-თქმები აჭარულ დიალექტში (ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები)“. | ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის<br>1. ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/3, 31.03.2025); | **სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:**<br>ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის <u>დარგობრივი დეპარტამენტის</u> ასოცირებული პროფესორი <u>ნანა ცეცხლაძე</u> |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **5** | | 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/4, 30.04.2025) | |
| 3. | **ფილოლოგია**<br>(აკრედიტაციის ვადა - 31.03.2030 წ) | | 2. „ქობულეთური კილოკავის თავისებურებანი“. | ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/3, 31.03.2025);<br>2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/4, 30.04.2025) | **სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:**<br>ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის <u>დარგობრივი დეპარტამენტის</u> ასოცირებული პროფესორი <u>ნანა ცეცხლაძე</u> |
| | | | 3. „საბავშვო ლიტერატურის აუდიოვიზუალური თარგმანი: კულტურული კოდების ტრანსკოდირების სემიოტიკური ანალიზი“. | ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის<br>1. ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/4, 4.04.2025);<br>2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/4, 30.04.2025) | **სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:**<br>ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის <u>დარგობრივი დეპარტამენტის</u> ასოცირებული პროფესორი <u>ნინო აროშიძე</u> |
| | | | 4. „ფემინური ნარატოლოგია და მისი პერსპექტივები თანამედროვე ქართულ და ინგლისურ მხატვრულ ტექსტებში (ანჯელა კარტერისა და ნაირა გელაშვილის შემოქმედების მაგალითზე)“. | ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის<br>1. ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/4, 4.04.2025);<br>2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/4, 30.04.2025) | **სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:**<br>ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის <u>დარგობრივი დეპარტამენტის</u> ასოცირებული პროფესორი <u>თამილა დავითაძე</u> |
| | | | 5. „პლაკატის პოლიტიკა - წინასაარჩევნო პლაკატების ლინგვოსტილისტური ტავისებურებები (ქართულ, ინგლისურ და ამერიკულ წინასაარჩენო პლაკატების მასალაზე დაყრდნობით)“. | ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის<br>1. ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/4, 4.04.2025);<br>2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/4, 30.04.2025) | **სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:**<br>ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის <u>დარგობრივი დეპარტამენტის</u> ასოცირებული პროფესორი <u>თეა შავლაძე</u> |